

შპს „ნორექსი“



NOREX LTD

თბილისი, 0180 გურამიშვილის გამზირი 8
ტელ.: 269 20 22; ფაქსი: 269 01 09
ელ.ფოსტა: norex.ltd@gmail.com

8 Guramishvili ave. 0180 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 269 20 22; Fax: +995 32 269 01 09
E-mail: norex.ltd@gmail.com

შპს „ნორექსი“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წ. 31 დეკემბრისათვის

	2021	2022	2023
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ექვივალენტები	968,220	1,003,572	184,271
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,763	6,280	3,825
ავანსად გადახდილი თანხები	24,815	80,000	-
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	265,276	153,147	210,226
სხვა მიმდინარე აქტივები	32,055	55,050	55,050
სულ მიმდინარე აქტივები	1,292,128	1,298,050	453,372
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები			
მიწის ნაკვეთი	141,313	141,313	141,313
შენობა-ნაგებობები	624,899	611,259	592,088
აღჭურვილობა დანადგარები	35,047	50,512	76,694
საოფისე ინვენტარი	28,064	68,373	64,814
ავტო-მანქანა	29,440	37,340	39,199
სხვა ფიქსირებული აქტივები	4,004	1,130	1,039
არამატერიალური აქტივები	342	353	325
სულ გრძელვადიანი აქტივები	863,108	910,280	915,472
სულ აქტივები	2,155,237	2,208,329	1,368,843
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	3,630	108,830	27,616
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	18,500
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	3,630	108,830	46,116
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	100,000	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება	1,563,858	1,079,959	1,222,727
წინა პერიოდის გაუქმებული ხელშეკრულება	-	919,540	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,663,858	2,099,499	1,322,727
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1,667,488	2,208,329	1,368,843

დირექტორი:



დავით სამსონაშვილი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	2022 წელი	2023 წელი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	4,219,864	4,844,453
საპროცენტო შემოსავალი	4,899	7,636
იჯარიდან შემოსავალი	40,661	81,946
მომსახურებიდან შემოსავალი		2,430
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,530
მიწის რეალიზაციიდან მიღებული განსაკუთრებული შემოსავალი(სახელმწიფო სოფსიდირობა)	-	-
სულ შემოსავალი	4,265,424	4,937,996
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,316,164	3,705,804
შრომის ანაზღაურება	368,793	516,541
ა/მანქანის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები	4,363	5,365
საწვავის ტრანსპორტირება	9,470	13,510
კომუნალური ხარჯები	151,707	153,405
ცვეთა და ამორტიზაცია	40,382	36,335
ქონების გადასახადი	6,649	7,100
მიწის გადასახადი	454	454
ბანკის მომსახურების საკომისიო	28,122	50,810
სხვა საერთო ხარჯი	239,954	113,218
დაზღვევა	1,423	1,423
კურსთაშორის სხვაობა	44,478	67,688
სულ ხარჯები	4,211,959	4,671,653
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	53,465	266,343
მოგების გადასახადი	0	(18,575.85)
წმინდა მოგება	53,465	247,767

დირექტორი:




დავით სამსონაძე

2023 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2022 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში:	968,220.27	1,003,572.47
ფულადი სახსრების შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	4,219,863.98	4,844,452.69
წმინდა ფულადი სახსრები აქტივის რეალიზაციიდან	47,037.95	-
წმინდა ფულადი სახსრები სხვა საქმიანობიდან	45,559.66	92,013.21
ფულადი სახსრების გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან	(4,277,109.39)	(4,798,916.21)
წინა პერიოდის გაუქმებული ხელშეკრულება		(851,851.55)
დივიდენდის განაწილება	-	(105,000.00)
წმინდა ფულადი კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	35,352.20	(819,301.86)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს:	<u>1,003,572.47</u>	<u>184,270.61</u>
წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში	<u>1,003,572.47</u>	<u>184,270.61</u>

დირექტორი:



დავით სამსონაძე

შპს " ნორექსი" ს/კ 204383229

2023წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ნაშთი 31 დეკემბერი 2023	100,000.00	1,999,499	2,099,499
წინა პერიოდის გაუქმებული ხელშეკრულება			(919,540)
გატანილი დივიდენდი		-	(105,000)
საანგარიშო პერიოდის ცვლილებები		247,767	247,767

ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1,322,727
-------------------------	-----------

დირექტორი:



დავით სამსონაძე

ბრძანება

2020 წლიდან შპს „ნორექსი“-ის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ვამტკიცებ

შპს „ნორექსი“-ის დირექტორი

დავით სამსონაძე

„31“ დეკემბერი 2020 წ.

შპს „ნორექსი“-ის

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „ნორექსი“-ის დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1996 წლის 29 ნოემბერს,

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის 8

საიდენტიფიკაციო კოდი: 204383229

1. ზოგადი დებულებები

1.1. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საავტომობილო საწვავის შესყიდვა და რეალიზაცია

- კვების პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია;

- სასურსათო საქონლის შესყიდვა და რეალიზაცია

- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმა-ტიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

– ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1.3. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან.

1.4. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

2.1. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ორის – ბუღალტერიის“ მეშვეობით.

2.1.1. საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის” შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);

– ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი დისკონტირებული ღირებულებით;

– უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება საგადასახადო მეთოდით.

-საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან;

2.3. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

– შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

– უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება საგადასახადო მეთოდით.

2.4. სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;
- სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება ხარჯებში

2.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;
- სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“;
- დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.
- საწარმოო ზედნადები ხარჯები ჩამოიწერება გაანგარიშებული (გეგმური) ხარჯების მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნადები ხარჯების სინთეზური ანგარიშის დებეტში.
- ფაქტობრივი ზედნადები ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნადებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს;
- პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, ხარჯვის ნორმების საფუძველზე;
- წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენები შემოსავალში აიღება მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, ხოლო ნარჩენები, რომელთა გადამუშავება შეუძლებელია ან/და საწარმოში არსებული ტექნოლოგიური პროცესი ვერ უზრუნველყოფს მათ გადამუშავებას, ნადგურდება დადგენილი წესით;
- შეზღუდული ვარგისიანობის ვადის მქონე საკუთარი წარმოების პროდუქციის სავაჭრო კსელიდან დაბრუნების შემთხვევაში ჩამოფასდება შესაძლო სარეალიზაციო ფასამდე, გაიყიდება ფასდაკლებით ან გადამუშავდება;
- პროდუქციის უსასყიდლოდ გადაცემა საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებზე, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციებზე, საბავშვო და მოხუცებულთა სახლებისათვის ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში.

- დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

2.7. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;
- მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;
- სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

2.8. მოთხოვნების აღრიცხვა

- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;

2.9. ვალდებულებების აღრიცხვა

- ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლების მიმართ: მეკავშირე საწარმოს, ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად;

2.10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 100000 ლარს (ასი ათას) ლარს შეადგენს;
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორობა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

2.11. ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;

– გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

2.12. შემოსავლების აღრიცხვა

– შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

2.13. ხარჯების აღრიცხვა

– ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

2.14. ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

3. მოგება-ზარალი:

3.1. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

– დივიდენდების გასაცემად;

– საწარმოს რეინვესტირებისათვის;

– სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

-მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

-მუნიციპალიტეტისათვის დივიდენდის გაცემა (გაუნაწილებელი მოგების) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან.

3.2. მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

დირექტორი:



დავით სამსონაძე